# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 4 (4508) ● 11 მარტი ● 2015 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 80 თეთრი ●


## „8 მარტი და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია!“

**სიტყვა კლასის ხელმძღვანელზე**

# დამრიგებელი საუკეთესო მეგობარია

**ვისაც** უნდა კითხოთ, ყოფილი პედაგოგებიდან პირველ რიგში რომელს გაიხსენებო, უმეტესობა თავის კლასის დამრიგებელს დაგისახელებთ. ასე იმიტომ ხდება, რომ დამრიგებელი საგნის მასწავლებელზე მეტია – საგანსაც გასწავლის და თან გზრდის, ცხოვრების გზაზე გაკვალიანებს. მძიმეა ტვირთი კლასის ხელმძღვანელისა. იქნებ უზუსტოა შედარება, მაგრამ მას შეიძლება „პატარა დირექტორი“ დავუძახოთ. ნონეშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არის „მასწავლებელი – ღამე უძილო, ნორჩებზე ფიქრი დაუშრობელი“.

**დამრიგებელი თავისი აღსაზრდელების დიდი მეგობარია.**

დიდი ხანია, კლასის ხელმძღვანელის ღვაწლსა და ამაგზე არაფერი დამიწერია. ნავსი გავტეხე და თბილისის 23-ე საჯარო სკოლის ახალ და ახალგაზრდა დირექტორს დავუკავშირდი, მოწინავე კლასის ხელმძღვანელი გამაცანი-მეთქი. – ყველა კარგი მყავს, გამორჩევა გამიჭირდებაო, – მიპასუხა **ნინო ნაბახტეველმა**. დიდი ფიქრის შემდეგ გამოსაშვები XII[1] კალსის ხელმძღვანელი გამაცნო:



**იამზე ეცეტაძე** ამ სკოლისა და თბილისის მაშინდელი პუშკინის პედინსტიტუტის აღზრდილია, გეოგრაფიის ჩინებული სპეციალისტი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ორმოცი წელია მშობლიურ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

საგნის როგორი მასწავლებელი იქნება, ზემოთქმულიდანაც ადვილად მიხვდებით. თუ როგორი კლასის დამრიგებელია, ამას თავად მისი წერილიდან შეიტყობთ.

***

### ძალიან მიყვარს ჩემი სადამრიგებლო კალსი

**მეხუთე** კლასიდან ერთად მოვდივართ. გუშინდელ დღესავით მახსოვს მაშინდელი, მკვირცხლი, თვალხატულა, ჭკვიანი გოგო-ბიჭები. და დღეს შევხარი მათ, მეამაყება, რომ უკვე დაფრთიანებულნი ასე კარგები არიან. ჩემი შრომის ნაყოფს უხვად ვიმკი. 33 ჭაბუკი და ქალიშვილი 3-4 თვეში ცხოვრების საიმედო საგზურს მიიღებს.

რვა წელია, რაც მათი ცხოვრებით ვცხოვრობ, ვასწავლი, ვზრდი, ველოლიავები.

როცა პირველად შემოვიდნენ ჩემთან გეოგრაფიის კაბინეტში, 10-11 წლისანი იყვნენ.

თითოეულთან ინდივიდუალური მუშაობით მათ ხასიათს სასურველი მიმართულებით ვძერწავდი, მოკლედ რომ მოვჭრა, რვა წელია, მეგობრები ვართ. გეოგრაფია რომ ასე უყვართ, ალბათ ამ ურთიერთობის „ბრალიც“ არის.

უფრო კლასგარეშე ურთიერთობებს შევეხები. მჭიდრო კავშირი დავამყარე მათ მშობლებთან და ასე ერთობლივად ვაღწევდით წარმატებას მათ სწავლა-აღზრდაში.

საგნების ცოდნა მთავარია, მაგრამ პიროვნებად ჩამოყალიბება უფრო მეტია. ხშირად ერთად დავდიოდით ექსკურსიებზე, ვცოცავდით კლდეებზე, ჩანჩქერის მომხიბლაობით ვტკბებოდით, ვსველდებოდით მისი შხეფებისგან. ვისხედით კოცონთან. ხშირად თავს ვაფარებდით ჩემს აგარაკს კიკეთში. ნაკვერჩხლებზე მწვადი შიშხინებდა. ვჩეხდით შეშას. ესაა მთელი ცხოვრება! ასე ვეცნობოდით ბუნების საიდუმლოებას, ჩვენი სამშობლოს ფლორას და ფაუნას. ეს იყო ცოდნისა და ცხოვრების გაკვეთილები. ყველა ექსკურსიას ხომ სასწავლოსთან ერთად აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს. ბარემ აქვე ვიტყვი: დაუვიწყარია სათაფლიაზე, ბაგრატის ტაძარში, გელათში, მოწამეთაში, ყინწვისში, შუამთაში და კახეთის სხვა სანახებში ჩატარებული ექსკურსიები.

ათიდან თვრამეტ წლამდე ასაკი რთული პერიოდია, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიკურად. მოზარდის განვითარების ამ ეტაპებს ფხიზლად ვადევნებდი თვალს. ხან ხდება კონფლიქტები ერთმანეთს შორის, ზოგჯერ – პედაგოგებთან და დაძაბულობის მოხსნას – ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებას ვუწყობთ ხელს.

კლასი უკვე ერთ მუშტად შეკრული, დაბალანსებული გუნდია. მუდამ იქნებიან ისინი ერთმანეთის მეგობრები.

ვამაყობ წარჩინებული, წარმატებული ჩემი აღსაზრდელებით. ჩემი კი არა მთელი სკოლის სიამაყეები არიან სასწავლო ოლიმპიადებში ან სხვა სახის კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები.

სასწავლო ოლიმპიადებში გაიმარჯვეს **მარიამ მინაძემ** და **ცოტნე პატარაიამ**, რომლებიც ფულადი პრემიით დასაჩუქრდნენ. ოლიმპიადის ახალ, მიმდინარე სეზონში მესამე ტურში გავიდა: **ლიზი ქართველიშვილი**, ლიზი ამავე დროს ნიჭიერი მუსიკოსია, კონსერვატორიაში ნიჭიერთა ათწლედის (ფორტეპიანოს განხრით) წარჩინებული მოსწავლეა.

ოლიმპიადის III ტურში გავიდნენ ასევე: **სანდრო ვადაჭკორია**, **ნინო პეტრიაშვილი**, **ანა ხარაიძე**.

ხელოვნებაში წარმატებული და პერსპექტიული მოსწავლეებიც საკმაოდ გვყავს XII[1] კლასში. ნიჭიერი მხატვრები არიან **ცოტნე პატარაია** და **ვაჟა ფრანგიშვილი**. ვაჟა ლოგოისტთა კონკურსის გამარჯვებულია. ჩვენი სკოლის „ლოგო“ მისი დამზადებულია. ქართულ ხალხურ ცეკვებს ბრწყინვალედ ასრულებენ: **ანი ბერუაშვილი** და **თორნიკე ყორყოლიანი**. ანი ანსამბლ „როკვაში“ ცეკვავს, თორნიკე კი მოზარდთა „ერისიონის“ გამორჩეული წევრია.

კლასში ბევრი სწავლაში წარჩინებული ე. წ. „ათოსანი“ მოსწავლე გვყავს. მედალოსნების კანდიდატთა რაოდენობითაც შეგვიძლია თავი მოვიწონოთ. აი, ისინიც: **ნინო პეტრიაშვილი**, **სანდრო ვადაჭკორია**, **ანა ხარაიძე**, **ცოტნე პატარაია**, **გიორგი გვასალია**. ხუთნი არიან, ვლოცავ ხუთივეს და ვუსურვებ, ხუთიანზე დაეძლიოთ ყველა ბარიერი.

ხუმრობით ვიტყვი: ამდენი წარმატებული მოსწავლე რომ გამიზრდია, ე. ი. არ ვყოფილვარ ცუდი დამრიგებელი.

ვუყურებ თვალებციმციმა გოგონებს, წვერშელერებულ – კუნთმაგარ ბიჭებს და ბედნიერი ვარ მათთან ურთიერთობით. მათგანაც ვგრძნობ დიდ სითბოს და სიყვარულს. გული მწყდება, რომ მალე გამიფრინდებიან, მაგრამ **ჩვენ ვრჩებით მეგობრებად. გვექნება მუდმივი კონტაქტები. მუდამ მივულოცავთ ერთმანეთს ცხოვრებაში წარმატებებს.**

**იამზე ეცეტაძე, XII[1]**
კლასის დამრიგებელი

---

## აკაკი წერეთელი



### გაზაფხული

დღეს მერცხალი შემოფრინდა, –
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.

მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა! –
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თუ: „გულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!

მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

დავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად „ტია, ტიას!“


**მკითხველთა საყურადღებოდ!**
გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს:
“საქპრესა” _ გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518,
“მაცნე” _ საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.


**მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!**

პედაგოგი – გარდაბნიდან

# გამარჯვებული ნანა სამხარაძე


ნანა სამხარაძე შვილებთან

**დღეს** მდარე ხარისხის, უგემოვნო მაყურებელზე გათვლილი, ბილწსიტყვაობით სავსე და არაფრისმთქმელი, ანტიეროვნული შინაარსის სატელევიზიო შოუებს შორის, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ,,იღბლიანი ბორბალი", საუკეთესოა. მისი ერთ-ერთი წამყვანი ვანიკო თარხნიშვილი კი, ნამდვილად ზედგამოჭრილი შოუმენია.

გარდაბნის პირველი საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი **ნანა სამხარაძეც** ანკეტის ჩაბარებიდან სულ ჩქარა მოხვდა გადაცემაში და გონივრული თამაშით გამარჯვება მოიპოვა.



ამ ფაქტის მიღმა მისი ბევრი სხვა წარმატებაცაა – ცხოვრებისეული, პროფესიული, შემოქმედებითი, – ყველაფერი წიგნიერებით მოპოვებული და გონიერებით გათვლილი, აწონილ-დაწონილი და შეფასებულ-გაანალიზებული.

ჭიათურის მე-5 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რუსთავის მე-16 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, მერე კი საერო უნივერსიტეტი დაამთავრა და 2005 წელს გარდაბანში დაიწყო მუშაობა. ჯერ განათლების სამმართველოში მუშაობდა, მოგვიანებით I საჯარო სკოლის პედაგოგი გახდა და გამორჩეულის სახელიც მალევე მოიპოვა.

მის მე-3 სადამრიგებლო კლასში ამჟამად 29 მოსწავლეა – ქართველები, აზერბაიჯანელი და სომეხი გოგო-ბიჭები, რომლებიც, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართულის გაკვეთილზე თამამად და თავისუფლად ჰყვებიან თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიებს, ინტონაციურად ამბობენ ლექსებს, თავისუფლად იყენებენ ლექსიკურ მარაგს, ახალ სალექსიკონო ერთეულებს. კლასის 29 ბავშვი პარტნიორული ურთიერთობით თავს აწონებს მასწავლებელს და კლასსაც. სახელმძღვანელოში მოცემული საპროგრამო მასალის გარდა, მათ უამრავი რამ იციან საქართველოს ისტორიიდან.

გაკვეთილის დასასრულს, თხოვნაზე, აბა თუნდაც ერთი სიტყვით როგორ დაახასიათებთ ნანა მასწავლებელს, ასეთი პასუხები მივიღეთ: სათნო, კეთილი, განათლებული, თანამდგომი, პატიოსანი, ლამაზი, საიმედო, ჩვენი გულის მესაიდუმლე და სხვა.

ეროვნებით აზერბაიჯანელი ბავშვები მეტყველების დახვეწილი მანერით, აზრის სწორად ფორმულირებით, კითხვის სანიმუშო ტექნიკით გაკვირვებას იწვევენ, უფრო მეტიც – ისინი მასწავლებლის დაუხმარებლად მოგვითხრობენ იოანე პეტრიწის, რუის-ურბნისის კრების, გელათის აკადემიის, დიდგორის ომის და სხვა მნიშვნელოვანი ამბების შესახებ საქართველოს ისტორიიდან.

ბოლო წლებში არაქართველი ეროვნების მოზარდთა რაოდენობამ იმატა ქართული სკოლების დაწყებით კლასებში, გაიზარდა დაინტერესება სახელმწიფო ენის შესწავლის მიმართ, რაც სხვა მასწავლებლებთან ერთად მოტივაციას უმაღლებს **ნანა სამხარაძეს** და ისიც გასაოცარ შედეგებს აღწევს სწავლების პროცესში.

ამ საგაკვეთილო დატვირთვის გარდა, იგი მე-2, მე-3 და მე-4 კლასში ხელოვნების წრეებსაც უძღვება, როგორც გარდაბნის მოსწავლე – ახალგაზრდობის ცენტრის ხელოვნების წრის ხელმძღვანელი და ამ სფეროშიც წარმატებული შედეგებით.

სულ ჩქარა სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები ერთად ნახავენ ლიტერატურულ – თეატრალურ კომპოზიციას – "ჩემი თბილისი და ფიროსმანი".

**ნანა სამხარაძის** კლასში სხვადასხვა ეთნოსის ბავშვებს შორის საოცარი სითბო და სიყვარულია, მეგობრობენ მშობლებიც, ისინი ერთად აქტიურობენ ყველა საკლასო წამოწყებაში, ბევრი აზერბაიჯანელი მშობელი კი ქართულ ენას, ლიტერატურასა და ისტორიას თავისი შვილებისაგან სწავლობს დედა ენის დახმარებით.

მე-3 კლასელები ყველანი ერთად ხშირად დადიან დედალვთისმშობლის ტაძარში და მართლმადიდებლურ საეკლესიო მსახურებას ესწრებიან.

შემოქმედი, საინტერესო ბიოგრაფიის მქონე 43 წლის ქალბატონი პოეტური ნიჭითაცაა დაჯილდოებული, მის ერთ მშვენიერ ლექსზე სულ ცოტა ხნის წინ შეიქმნა სიმღერა, რომელსაც მომღერალი **გიორგი დათიაშვილი** ასრულებს.

გიორგი, ქრისტინე და მედეა ნანა სამხარაძის საამაყო შვილები არიან, ყველაზე საყვარელი არსება კი შვილიშვილი ნუცაა, რომელსაც თავის წილ მზრუნველობას არასოდეს აკლებს საქმით დაკავებული ბებია.

– გულმართალი, საყვარელი და ერთგული ქალბატონი ყველას უყვარს მშობლიურ რაიონში და სკოლაში, ის მუდამ მობილიზებულია და ყველა სირთულეს წარმატებითართმევს თავს. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებს, – თავის აზრს გვიზიარებს, დირექტორი **ნანა თარალაშვილი**.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ **ნანა სამხარაძე** "ფაზისის" აკადემიის ნამდვილი წევრია და იაკობ გოგებაშვილის მედლის კავალერი.

... იღბლიან ბორბალში 575 ქულით გამარჯვებული **ნანა სამხარაძე** სამომავლოდაც აპირებს მონაწილეობის მიღებას შოუპროგრამაში.

მისი ეს გამარჯვება ყველაზე მეტად მესამეკლასელებს გაუხარდათ.

# ტრადიცია გრძელდება

**საჯარო** სკოლებში ღია კარის დღის ჩატარების ტრადიცია ისევ აღსდგა რუსთავში. მე-16 სკოლის ახალგაზრდა, სიახლეთა მაძიებელმა და ერთდროულად სკოლებში ჩატარებული ტრადიციული, სასარგებლო ღონისძიებების ქომაგმა, პროფესიით ისტორიკოსმა, სადირექტორო კონკურსში გამარჯვებულმა **ირინე მელიქიძე-გელაშვილმა**, სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა და მოსწავლეებმა ეს ღონისძიება წარმატებით ჩაატარეს.

დაწყებითი კლასის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა "ჩემი სკოლა",



პირველი სართულის ჰოლში რომ მოეწყო, დიდი ინტერესით დაათვალიერეს სკოლაში სტუმრად წვეულებმა: მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა, სხვა სკოლების დირექტორებმა და პედაგოგებმა.

მე-4 კლასების მოსწავლეთა ვიქტორინას აკადემიურ უნარებში უძღვებოდნენ პედაგოგები **თამარ ბექაური** და **მარინა კეშელავა.**

მოეწყო მოსწავლეთა შეხვედრა რესურს ოთახში სკოლის ფსიქოლოგ **ქეთევან ქართველიშვილთან**.

ჩატარდა მასტერკლასები სპორტდარბაზში კალათბურთში, რომელსაც ჩვეული ენერგიით ხელმძღვანელობდა გამოცდილი პედაგოგი სპორტში **ლევან ვაჩეიშვილი**.

ღია კარის დღის ყველაზე საინტერესო გაკვეთილად იქცა პედაგოგ **ლია გურგენიძისა** და მე-9, მე-10, მე-11 კლასელების მიერ ერთად მომზადებული თემა "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში". თემის განხილვაში აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას მოსწავლეები, ისინი დამოუკიდებლად, საკუთარი მოსაზრებებით შინაარსიანად აფასებდნენ ისტორიას, ისტორიის გაკვეთილებს, ქვეყნის დღევანდელობას და სახელმწიფოს პერსპექტივებს.

გაკვეთილმა კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რა ძლიერი ისტორიკოსი პედაგოგი ჰყავს **ლია გურგენიძის** სახით რუსთავის საგანმანათლებლო სისტემას.

**ლელა კაკაბაძის** მიერ მეშვიდე კლასის კაბინეტში ჩატარებულმა მრგვალმა მაგიდამ ინგლისურ ენაში, მოსწავლეთა მრავალფეროვან ინტერესებთან ერთად გამოამჟღავნა უცხო ენის მდიდარი ლექსიკური მარაგის სუკეთესო ცოდნა, გამართული მეტყველებისა და თარგმანის უნარი.

ინტელექტუალური თამაში ბრეინრინგი სამოქალაქო განათლებაში მაღალი კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა. პედაგოგ **თამარ ბიწაძის** კოლეგიალურობით, ყველანი თავს იწონებდნენ შესწავლილი მასალის ცოდნით.

საბუნებისმეტყველო კლუბის პრაქტიკული ცდების პრეზენტირება ქიმიის კაბინეტში პედაგოგების **ნათია ჩხიკვაძის**, **მადლენა აღდგომელაშვილის** და **გოჩა ბარამიას** მიერ მომზადებულმა მოსწავლეებმა ჩაატარეს, მათ საინტერესო ცდებით ნამდვილად გააოცეს აუდიტორია.

პოეზიის ხუთი წუთი ბიბლიოთეკაში ჩატარდა და იგი დედის დღეს მიეძღვნა. ბიბლიოგრაფმა **ვარდო გოგნაძემ** სიამოვნებით აღნიშნა, რომ მე-16 სკოლის მოსწავლეები აქტიურად იყენებენ სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნის ფონდს და ამ ფონდის გამდიდრებაში თავადაც შეაქვთ წვლილი.

მერიის განათლების განყოფილების სპეციალისტმა **სოსო პირველმა** ასე შეაფასა სკოლაში ჩატარებული ღონისძიება: წარსულიდან ყველაფერი არ უნდა დავივიწყოთ, ღია კარის დღე სკოლებში ბავშვთა მობილიზებულობის გამომჟღავნების გარდა, კარგად აჩვენებს, სად, რომელი საგნის კათედრა მუშაობს წარმატებით და დაუფლებულნი არიან თუ არა პედაგოგები, გაკვეთილის ჩატარების თანამედროვე ტექნოლოგიებს.

მე-12 საჯარო სკოლის დირექტორმა საქართველოს განათლების სისტემის წარჩინებულმა მუშაკმა **მარინე ბულიამ** მაღალი შეფასება მისცა ღონისძიებას და მცირეოდენ ნაკლოვანებებზეც ყველას დელიკატურად მიუთითა.

ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო ლომიძემ** მადლობა გადაუხადა სკოლას ამ საჯარო, საინტერესო ღია კარის დღისათვის და იმედი გამოთქვა, რომ ეს ტრადიცია რუსთავის სხვა სკოლებშიც აღდგება.

დაბოლოს, დირექტორმა **ირინე მელიქიძემ** იმ პროექტებზე ისაუბრა, რომლის განხორციელებასაც აპირებენ ახლო მომავალში მე-16 სკოლელები.

მე-16 საჯარო სკოლაში, მოსწავლეთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს და აკადემიური მაჩვენებლებიც მაღლდება.

# სიქას ახალი ინიციატივები

**კიდევ** ერთი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა საგანმანათლებლო ინიციატივების ქართულმა ასოციაციამ პროგრამა "მომავლის თაობის" ფარგლებში PH International საერთაშორისო განვითარების (USAID)-ის დაფინანსებით.

26 თებერვალს ქვემო ქართლის რეგიონის იმ სკოლებმა, რომლებიც პროგრამის მონაწილენი არიან, სიქას რუსთავის ოფისში ონლაინ რეჟიმში მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში, რომლის წამყვანები იყვნენ ქალბატონები **მონიკა გორცელანსკა** და **შამენა გალი**, ორივენი ამჟამად იუსაიდის ოფიცრები არიან და სოფლის მეურნეობის მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვთ სხვათა გასაზიარებლად. ორივე ქალბატონმა, **მონიკა გორცელანსკამ**, რომელიც პოლონელი ამერიკელია და **შამენა გალიმ**, რომელიც წარმოშობით ჰავაიდანაა, მოსწავლემრავალ აუდიტორიას საინტერესოდ და კონკრეტული ფაქტებით გაუზიარეს მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა სიკეთე შეიძლება აკეთონ მოსწავლეთა ჯგუფებმა ან ცალკეულმა მოსწავლე-ინდივიდებმა საკუთარი სოფლისა თუ ქალაქისათვის, ეზოსა და სკოლისათვის, ირგვლივმყოფი ადამიანებისათვის.

მოქალაქეობრივი ინიციატივებით დაინტერესებულმა მსმენელებმა უამრავი შეკითხვა დაუსვეს კონფერენციის წამყვანებს და პასუხებიც ამომწურავი მიიღეს.

რუსთავის ოფისში ღონისძიებას უძღვებოდა და აკონტროლებდა სიქას საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალისტი **ეთერ პაიჭაძე**.

ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთის, ახალი სამგორის და რუსთავის მოსწავლეები.

თელეთის სკოლიდან პედაგოგმა **ნინო კენჭაძემ** მოსწავლეებთან ერთად ადგილზევე დასახა ახალი პროექტის განხორციელების გზები.

- ასეთი შეხვედრები, კარგი იქნება, თუ მომავალშიც გაიმართება. ჩვენ ბევრი რამ გავიგეთ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის მიზნების შესახებ – აღნიშნეს მოსწავლეებმა. სიქა კვლავაც აგრძელებს ახალ პროექტებს.

გვერდის ავტორი **ლია მარტაშვილი**



**ისმინე, სწავლის მძებნელო!“**

# „დავითიანი“ ცოდნის მწვერვალებს იპყრობს

**ბაბუციძის** ქუჩას რომ გაუყვებით, თვალს მოგტაცებთ სიმწვანით შემოკავებული ულამაზესი შენობა. იგი კერძო საშუალო სკოლა „დავითიანი“ გახლავთ. შიგნით შეხვალთ და... წამოგცდებათ აკაკის სიტყვები: „ეს თვალები რას ნახავენ სხვა უკეთეს სანახავსა!“

ინფრასტრუქტურა რომ ბრწყინვალედ არის მოწესრიგებული, ამის აღწერით დროს არ წაგართმევთ, ოღონდ ვიტყვი: აკურატულად მოვლილი სუფთა საკლასო ოთახები, დერეფნები ზომიერად



გაჯერებული თვალსაჩინოებით, კომპიუტერებით, ვიდეოთვალით და აქ დავანებული სიმყუდროვე, **დიმიტრი უზნაძის** მიხედვით სამეცადინო განწყობილებას ქმნის, სწავლა-სწავლების მოტივაციას აძლიერებს.

ყველაფრიდან ჩანს და იგრძნობა, რომ მასწავლებლები სასექტემბროდ ემზადებიან – **ღირსეულად უნდა იზეიმონ „დავითიანის“ ოცი წლის იუბილე**.

აქ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ხალისიანად, შემოქმედებითად მიმდინარეობს და მაღალი შედეგებისკენ არის ორიენტირებული. აქ ძალაშია სტალინის ფორმულა: „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ ბევრ პრესტიჟულ სკოლას შეშურდება აქ თავმოყრილი ძლიერი გუნდი ხელმძღვანელებისა და მასწავლებლებისა. მინდა გაგაცნოთ ამ მიღწევა-წარმატებათა შემოქმედნი, პირველ რიგში „დავითიანის“ დამფუძნებლები: **მაია გონგაძე-პეტრიაშვილი**, – სახელოვანი, ლეგენდად ქცეული დირექტორის **აკაკი კივილაძის** მე-8 საჯარო სკოლის (კივილაძის სკოლას ეძახიან) და თბილისის მაშინდელი პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის აღზრდილი. იგი მეტად ღვაწლმოსილი და პედაგოგიურ სივრცეში ცნობილია.

**ნინო ჩოხელი** გახლავთ 106-ე საჯარო სკოლის და ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ლონდონის საკვალიფიკაციო აკადემიის დიპლომის მფლობელი, პროფრესორი, მთარგმნელი, რეფერენტი.

**ნანუკა დიასამაძე**, 124-ე საჯარო სკოლისა და რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის აღზრდილია, მაგისტრის აკადემიური ხარისხმინიჭებული.

აღმასრულებელი დირექტორია **ნანა ზურაბიშვილი**. იგი 146-ე სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილია. მათემატიკის სპეციალობით, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს საკვალიფიკაციო აკადემიის ლექტორია.

სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილეს **ირმა გელხვიძეს** დამთავრებული აქვს 106-ე საჯარო სკოლა და თბილისის მაშინდელი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი. ირმა დაწყებითი კლასების ჩინებული პედაგოგია.

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ძირითადად წარმართავენ საგნობრივი კათედრები. ამ საქმეს შემოქმედებითად და შედეგიანად უძღვებიან კათედრის ხელმძღვანელები: **ნანა კანაშვილი** (ქართული ენა-ლიტერატურისა და საზმცოდნეობის კათედრა), **ლალი გოგსაძე** (მათემატიკა-საბუნებისმეტყველო), **ნინო კერვალიშვილი** (ესთეტიკური ციკლის) და **ალინა ბაგდასარიანი** (უცხოური ენების).

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სული და გული კლასის დამრიგებლები რომ არიან, ეს ყველამ იცის. ხუმრობით შეგვიძლია მათ „პატარა სკოლის დირექტორები“ დავუძახოთ.

მოსწავლეთა სწავლა-განათლებისა და ხალისიანი, შემოქმედებითი ცხოვრების მოძღვარ-ორგანიზატორები არიან: **მანანა ქვარცხავა** (I-IX კლასები), **დიანა ჯავახიშვილი** (II), **ირმა გელხვიძე** (III), **ნუნუ ჟღენტი** (II), **ნინო კანაშვილი** (X), **ალინა ბაგდასარიანი** (XI), **ნონა სამხარაძე** (XII), **ლალი გოგსაძე** (XIII), **თამუნა რამიშვილი** (IX), **ხათუნა მგალობლიშვილი** (X), **ხათუნა ყაზარაშვილი** (XI), **ნონა კანაშვილი** (XII).

თუკი მიღწევა – წინსვლაა – წარმატებებით ამაყობს სკოლა, საგნის მასწავლებლებთან ერთად ამ დამრიგებლების ენთუზიაზმის შედეგია. ამიტომ „დავითიანის“ დირექცია მაღალ შეფასებას აძლევს მათ ძალისხმევას და მადლობას უცხადებს.

მიღწევები კი თვალსაჩინოა: შარშან სკოლა 18-მა ახალგაზრდამ დაამთავრა. **დათო გოგრიჭიანმა** ოქროს და **ალექსანდრა ამფიმიადიმ** ვერცხლის მედლებით დაიმშვენეს მკერდი. შარშანდელი დამთავრებულებიდან დღეს ყველა სტუდენტია. **ირაკლი მაზანაშვილმა** 100%-იანი გრანტი მოიპოვა. მიმდინარე სასწავლო წელს 15 ახალგაზრდა ამთავრებს სკოლას და მათგან **ზურაბ ჩხაიძე**, **დათა გელხვიძე**, **თამთა ჭელიძე** მედალოსნობის კანდიდატები არიან. ვუსურვოთ მათ დიდი წარმატებები!



„დავითიანში“ უამრავი ნიჭიერი და „ათოსანი“ მოსწავლე სწავლობს, აქ ბევრი ოლიმპიადებში და სხვა სახის კონკურსებში გამარჯვებული იზრდება. ყველას ვინ ჩამოთვლის, მაგრამ გამორჩეულები უნდა გავიცნოთ. სასწავლო ოლიმპიადებში ბევრმა თავი ისახელა და სკოლაც ასახელა. მეხუთეკლასელმა **თეკლა მაისურაძემ** (ქართულში – ინგლისურში, პედაგოგები: **დიანა ჯავახიშვილი**, **ალინა ბაგდასარიანი**) ოლიმპიადის ტურებში გაიმარჯვეს. მეექვსეკლასელმა **ნიკა ქავთარაძემ** ყველა საგანში დაიმსახურა სერთიფიკატი. სკოლამ მადლობის წერილი მიიღო აგრარული უნივერსიტეტიდან **ზურაბ თვალაბეიშვილის** წარჩინებული სტუდენტობის გამო.



აქ სწავლობენ პერსპექტიული სპორტსმენები. კალათბურთში გამოირჩევიან: **ლუკა გონგაძე** (XII კლ.), **დათო დარბაიძე** (XI), რაგბისტები: **ამირან ბაბლიძე** (IX), **ნიკა კაპანაძე** (XI), ფეხბურთელები: **ნიკა შანიძე** (XI), **ნიკა ადეიშვილი** (XI), **ვაკო პირველი** (X), **გია მოდებაძე** (X), **დათო ყრუაშვილი** (X). სკოლის მშვენებაა მრავალ კონკურსში გამარჯვებული მოდელი **ნინო სულხანიშვილი** (XI).

პედაგოგი **ლია ლაჭავა** გატაცებით ასწავლის ჭადრაკს და ჰყავს კიდევაც იმედის მომცემი, ნიჭიერი სპორტსმენები: **კუპრავები – ალეკო** (X) და მისი და **ანასტასია** (IX), **ნიკა ეზუგბაია** (II), **ეთო ჭრელიშვილი** (II), **საბა ლეჟავა** (II$^{1}$), **ლეილა შამი** (II$^{1}$), **თათა გონგაძე** (II$^{ბ}$).

სკოლაში შთამბეჭდავი ღონისძიებები ჩატარდა. ასეთი იყო „თბილისობა“, „შემოდგომის ფესტივალი“. დაუვიწყარი იქნება II$^{ბ}$ კლასელთა ინგლისურენოვანი სპექტაკლი „ერთად შევხვდეთ ახალ წელს“, რომელიც ჩატარდა **დიანა ჯავახიშვილის** თაოსნობით.

დიდად პოპულარულია ქართული ხალხური სიმღერის წრის, ანსამბლ „საგალობელის“ საქმიანობა. ანსამბლის ხელმძღვანელია **თორნიკე მანწკავა**.

მასობრივად არიან ჩართული მოსწავლეები ქართული ხალხური ცეკვის წრეში. ანსამბლ „დავითიანის“ ხელმძღვანელები არიან **ლია** და **სანდრა ოშაყმაშვილები.** სკოლას ინგლისურ ენაში მოწვეული ჰყავს უცხოელი მასწავლებელი. სკოლის კაბინეტლაბორატორიები აღჭურვილია ევროპული სტანდარტების შესატყვისი კომპიუტერებით და სხვა სასწავლო-ტექნიკური საშუალებებით. კიდევ ბევრი კარგის თქმა შეიძლება „დავითიანზე“, მაგრამ, – მოდით ეს შემდეგისთვის იყოს.



მოვიდა ნანატრი და ძვირფასი გაზაფხული, მალე ვნახავთ: „მეჯლისს ბუნებისას, გავიგონებთ მის მაყრულსა“.

ქალბატონი **მაია პეტრიაშვილი-გონგაძე** დამფუძნებელთა სახელით ყველა პედაგოგს, მოსწავლეს ულოცავს 8 მარტს და გაზაფხულის მობრძანებას.

ჩვენც გილოცავთ ამ სიხარულს, ძვირფასო მოსწავლეებო და პედაგოგებო. და კიდევ რას გილოცავთ, იცით? – სკოლა „დავითიანის“ დაარსების 20 წლის ბრწყინვალე იუბილეს.

**ბორის მიშველაძე,**
*პედაგოგიკის დოქტორი*

# „იზარდე, მწვანე ჯეჯილო,

**ღმერთმა დაგლოცოთ, 135-ე ბაგა-ბაღელებო!**

## ვინ დაუკრიფა დედას იები?



**ხუთი** წლის წინათ ვიყავი ამ ბაგა-ბაღში. როგორ გაზრდილა, გაკოხტავებულა? აქ ცეროდენების ნამდვილი ჯადოსნური სამყაროა. სუფთა ეზო ნაძვებით დაბურული, სასრიალო და სხვა სათამაშოებით გაჯერებული. გაზაფხული მალე მოვა, მზე სხივებს შეაშუქებს ნაძვებს და შაშვ-ბულბულის გალობა ყურთასმენას დაატკბობს. მერე ცუგრუმელები ეზოში რომ გამოეფინებიან, მათი ხალისი და ჟრიამული ზეცას შეწვდება.



სამუსიკო დარბაზიდან ტკბილმშობლიური ჰანგები ისმის. ცუგრუმელები დედის დღისა და გაზაფხულის ზეიმისთვის ემზადებიან. შთამბეჭდავად უნდა ჩატარდეს მეჯლისი, დედებს და თავიანთ აღმზრდელებს იები უნდა დაუკრიფონ, ზეიმი ლექსით მიულოცონ: „დედა, ია დაგიკრიფე, ლურჯთვალა და კოპწია, ქალთა დღე და გაზაფხული ერთად მომილოცნია“.

ამ სიხარულისთვის ცეროდენებს აღმზრდელებთან ერთად გულმოდგინედ ამზადებენ მუსიკის ჩინებული პედაგოგები: **თამილა ტალახაძე** და **თამილა მორჩილაძე**, რომლებიც დიდი ხანია აქ მოღვაწეობენ და ნიჭიერთა სულს აფაქიზებენ.

მესამე თამილა კი თავად ბაგა-ბაღის დირექტორი გახლავთ, ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული **თამილა ხარშილაძე**, დიდი პედაგოგის **თამარ გოზალიშვილის** ნამოწაფარი, 173-ე სკოლისა და თბილისის მაშინდელი პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის აღზრდილი, უაღრესად გამოცდილი დირექტორი გახლავთ. ადრე 107-ე და 205-ე ბაგა-ბაღებში აღმზრდელად უმოღვაწნია, ხოლო შვიდი წელია ბავშვთა ამ სამყაროს დიდი დიასახლისია. ნორჩებს, მათ მშობლებს ძალიან უყვართ თავიანთი დირექტორი იმიტომ, რომ იგი მათზე ზრუნვითა და ალერსით არის შთაგონებული. ქალბატონი თამილა თანამშრომლებსაც ძალიან უყვართ და აფასებენ ნაღდი კოლეგიალობისთვის. განა არ არის დასაფასებელი? ბაგა-ბაღი ბაღნარად აქცია. ინფრასტრუქტურა ისე მოაწესრიგა, უკეთესი არ იქნება.

აგვისტოში კარგად ვიმუშავეთ. ახალი ფართი გამოვნახეთ, კეთილმოვაწყვეთ და ერთი ჯგუფი დამატებით გავხსენით, – მითხრა თამილამ, – მხარში ამოგვიდგა მერია. მშობლებისა და თანამშრომლების სახელით მადლობას მოვახსენებ ბაგა-ბაღების სამსახურის სააგენტოს უფროსს ბატონ **თემურ თორდინავას**.

ეზოში მშობლებს გავესაუბრე, ბავშვების კვებაზე მათი აზრი მაინტერესებდა. ერთი ქალბატონი პოეტი აღმოჩნდა და ლექსად მიპასუხა: „კერძებია იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანაო“. მართლაც, აქ დიდი ხანია მუშაობენ გემოვნებიანი მზარეულები: **ირმა პაპუაშვილი** და მისი დამხმარეები: **ნანული დავითლიძე**, **თინა ჟორჟოლიანი** და **ირმა ბიჭოშვილი**. სიამოვნებით მიირთმევენ პატარები მათ მიერ მომზადებულ ყუათიან არომატულ კერძებს, შინ დედის გაკეთებულს ურჩევნიათ.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში დიდი წვლილი შეაქვს დირექტორის მოადგილეს **ირინე ჯანხოთელს**. ხოლო ბაგა-ბაღის სული და გულია ბავშვებთან დიდად ნაღვაწი, გამოცდილი მეთოდისტი **მარინე ხუციშვილი**. აღმზრდელებთან მისი კოორდინებული, სწორი მეთოდური მუშაობით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ნაყოფიერად და ხალისიანად მიმდინარეობს.

ყველა ღონისძიებას ვინ ჩამოთვლის, მაგრამ რამდენიმეს უთუოდ შევეხებით. ცეროდენებისთვის დაუვიწყარი იქნება „თბილისობის“ დღესასწაული და „შემოდგომის ფესტივალი“. ასევე ყველა ჯგუფში ჩატარებულია საახალწლო „ნაძვისხე“, შეხვედრა იუბილარ საბავშვო ჟურნალ „დილას“ ჟურნალისტებთან და სხვა. დაუვიწყარი იქნება.

შარშან სკოლისთვის კარგად მომზადებულ 90 ცეროდენას ზეიმით გზა დაულოცეს პირველი კლასისკენ მათმა აღმზრდელებმა: **შორენა ნიორაძემ** და **მაია ხვედელიძემ**.

ბავშვებზე ყველა აღმზრდელი და თანაშემწე გატაცებით, თავდადებით ზრუნავს, მაგრამ განსაკუთრებით მინდა მარჯვენა დავულოცოთ ბაგის ჯგუფის მომსახურე პერსონალს, აღმზრდელებს **მაია სარალიძეს**, **შორენა ნიორაძეს**, **მაია ხვედელიძეს** და მათ დამხმარეებს, რადგანაც ბაგის ნორჩებთან მუშაობა ყველაზე რთულია.

ქებისა და დიდების ღირსნი არიან დიდხანს ნალვაწი, გამოცდილი აღმზრდელები: **ნათია მებუკე**, **მედეა გაფრინდაშვილი**, **თეა ზავრადაშვილი**, **ნათია სადაღაშვილი**, **ნათია გელოვნიშვილი**, **ირმა ტერაშვილი**, **დარიკო დოლიძე**, **ნათია ლაზუაშვილი**, **თამარ გორდეზიანი**, **ეკა ქოიავა**.



დირექტორი **თამილა ხარშილაძე** მაღალ შეფასებას აძლევს ასევე აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების მუხლჩაუხრელ შრომას. ესენი არიან: **დიანა გავაშელიშვილი**, **ნინა კარაპეტიანი**, **ლიკა გეჯაძე**, **ქეთი მეშველიანი**, **ნეტა მერაბიშვილი**, **ჟუკა ფეიქრიშვილი**, თანაშემწეები: **ნანა აფრიდონიძე**, **მანანა მამულაშვილი**, **ცირა ჯამალაშვილი**, **ინგა ნოზაძე**, **დალი მიქაბერიძე**, **ეკა ქანაშვილი**, **სოფიო ხარაიშვილი**, **ნინო კაპანაძე**, **ელზა აბულაძე**, **მაია ჯაოშვილი**, **ნათია ონეზაშვილი**, **მაყვალა კვესიაშვილი**, **ლია ბაკაშვილი**, **თეა კვესიაშვილი**.

ცუგრუმელების ჯანმრთელობის სადარაჯოზე მტკიცედ დგას გამოცდილი პედიატრი **ნანა არაბული**. მისი შიშით ვერცერთი ინფექცია ბაგა-ბაღის ახლოს ვერ გაიჭაჭანებს.

ბაგა-ბაღისა და ცეროდენების კეთილდღეობისთვის ბევრს ზრუნავენ საქმის მუდამ აკურატულად, პასუხისმგებლობით შემსრულებელნი: მნე **თეო მაზანაშვილი**, დირექტორის თანაშემწე **დალი ბერიაშვილი**, საქმისმწარმოებელი **ინგა ირემაძე**.

დაუფასებელი არც ტექნიკური მუშაკები დარჩენია დირექტორს. მისი მადლობა დაიმსახურეს: დამლაგებლებმა **ლიანა გვარამაძემ**, **ცირა ქარჩაიძემ**, **დარეჯან გვარამაძემ**, **ირმა ჭაბაშვილმა**, **ეთერ კაპანაძემ**, **ქეთევან მჭედლოვამ**, **თეონა კაიშაურმა**, **ნატო არაბულმა**, დარაჯებმა: **ფრიდონ** და **თამაზ ვაშაყმაძეებმა**, მუშა **ნიკოლოზ ავალიშვილმა** და მებაღე **მანანა ჭონქაძემ**.

აქ ყველა ცეროდენა ნიჭიერია. მხოლოდ რამდენიმე პერსპექტიული ბავშვის გაცნობა შევძელი: მინდა ახლო მომავალში ნიჭისა და უნარის გაელვება ვუსურვო: **ნიცა მირიანაშვილს**, **ნიკა ქოიავას**, **მარი შარიქაძეს**, **სესილი ფრუიძეს**, მოცეკვავე **მათე გოგრიჭიანს**, **თორნიკე ნიკაჭაძეს**, **ელენე მორჩილაძეს**, **თეკლა ავაზნელს**, **იაკობ ცირეკიძეს** და ბევრ სხვას.

კიდევ ცოტა და გაზაფხული გულს გაგვიხარებს.

კიდევ ბევრი თბილი სიტყვის თქმა შეიძლება თქვენზე. შემდეგისთვის იყოს.

ახლა კი, რადგან საქართველოს უზრდით მამულიშვილებს, რომლებიც მამა-პაპათა ამაგს, ტრადიციებს არ დაივიწყებენ, არ გადაჯიშდებიან, ცუდი გაგებით არ გაგვიევროპელდებიან, სისხლით ნაბან მთა-ველს გადამთიელებზე არ გაგვიყიდიან, ასეთ მომავალ თაობას რომ აკვალიანებთ, ძვირფასო აღმზრდელ-პედაგოგებო, მინდა მუხრან მაჭავარიანის სტრიქონებით მოგმართოთ: „კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე, ჩვენო ბაღო, კიდევ ერთი რუსთაველი, კიდევ ერთხელ აამღერე, გევალება, ჩვენო ბაღო, შეგიძლია, ჩვენო ბაღო, გაგიმარჯოს საქართველოვ!“

მშვიდობას, ხალისს, ბედნიერებას გისურვებთ, დედის დღე და გაზაფხული თქვენთვის მოგვილოცნია, 135-ე ბაგა-ბაღელებო!



**მაია მიშველაძე**

# დაპურდი, გახდი ყანაო!“

### „საბავშვო ბაღი ხელისგულზე“

## გულს გვიხარებენ ყლორტები



**დღეს** ნომრის სტუმარია თბილისის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და სანიმუშო ბაგა-ბაღი. უპირველესად თავისი ორიგინალური სახელწოდებით „საბავშვო ბაღი ხელისგულზე“, როგორც სახელწოდებიდან ჩანს აქ გამჭვირვალედ ხელისგულზე



მიმდინარეობს პატარების სწავლების, მოფერების, მოსიყვარულების პროცესები. ამ ლამაზად გაფორმებულ შენობას და შემოგარენს მეტად სასიამოვნო ხიბლს აძლევს პატარების ჟრიამული, იგრძნობა მზრუნველი ხელი თითოეულ კუთხეში.

საბავშვო ბაღს სათავეში უდგას გამოცდილი პედაგოგი. ძალიან თბილი, მოსიყვარულე და მზრუნველი ქალბატონი **ლელა გოგორიშვილი**. ლელამ წარმატებით დაამთავრა თბილისის 126-ე საშუალო სკოლა. შემდეგ კი სწავლა გააგრძელა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მე-12 სამუსიკო სასწავლებელში და ჩააბარა ხელოვნების აკადემიაში ფორტეპიანოს სპეციალობით. არჩევანს ძალიან უმადლის დედას – **დალი გოგიძეს**, სწორედ მისი დიდი სურვილი და ოცნება იყო პატარა ლელა დაუფლებოდა სამუსიკო ხელოვნებას. სწორედ დედის დამსახურებად თვლის თავის წარმატებებს ამ სფეროში და მადლობას უხდის მას ამისთვის. ლელამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო 83-ე საბავშვო ბაღში მუსიკის მასწავლებლობიდან, სადაც იმუშავა 20 წელი. შემდეგ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მუშაობდა კონცერტმაისტერად, იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ესთეტიკური განყოფილების სასწავლო ნაწილის გამგე. ქალბატონი ლელა მოღვაწეობდა ქონების მართვის სამინისტროში, ქონების მართვის დეპარტამენტში. ბოლოს გადაწყვიტა, დაბრუნებოდა თავის ბაღს. მონაწილეობა მიიღო ბაღების დირექტორთა კონკურსში და გაიმარჯვა კიდეც. სწორედ იმ ბაღს დაუბრუნდა, სადაც მან გაატარა ცხოვრების ვრცელი მონაკვეთი მუსიკის მასწავლებლად. ჰყავს მეუღლე და 3 შვილი **მიხეილი**, **ალექსანდრე** და **ხათუნა კიკნაძეები**.

ქალბატონი ლელა დიდი სიყვარულით პირადად უხდის მადლობას **მაყვალა ჩუბინიძეს**, რომელსაც ლომის წილი აქვს იმ საქმეში, რასაც ლელამ მიაღწია საბავშვო ბაღში. ღვაწლმოსილი პედაგოგი **მაყვალა ჩუბინიძე** გახლავთ 41-ე საბავშვო ბაღის დირექტორი.

ლელა გოგორიშვილის მოადგილეა გამოცდილი პედაგოგი **ნინო ბურდული**, რომელიც დღე და ღამეს ასწორებს პატარებზე ფიქრში. ბევრს ზრუნავს, რომ ყველაფერი წესრიგში იყოს და მაღალ დონეზე წარიმართოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესები.

სასწავლო პროცესებს კოორიდინირებას უწევს გამოცდილი მეთოდისტი **ეკატერინე შოვნაძე**. იგი ყველაფერს აკეთებს პატარების საკეთილდღეოდ.

ნორჩების ინდივიდუალურ ხასიათს იკვლევს ფსიქოლოგი ხათუნა **ბერიაშვილი**, ბუღალტრის მოვალეობას პირნათლად ასრულებს ქალბატონი **თამარ მალაზონია**. განსაკუთრებულ შრომას დებს საქმის სწორად წარმართვაში ლოგოპედი **ლალი ფუტკარაძე** და საქმის მწარმოებელი **ნათია შაფაქიძე**. მშობლები მეტად კმაყოფილები არიან პედაგოგ-აღმზრდელებისა. მთელი კოლექტივი ყველაფეერს აკეთებს იმისთვის, რომ პატარების განვითარებას და აღზრდას მისცენ სწორი მიმართულება, რომ ჩაუნერგონ მათ სამშობლოის სიყვარული, მეგობრობა, მოწიწება და პატივისცემა უფროსებისადმი. ამ მიზნით ასწავლიან ლექსებს, სიმღერებს, ზღაპრებს, თამაშობებს, რომლებსაც პატარები ისმენენ, სწავლობენ და ასრულებენ კიდეც. ესენი არიან ის აღმზრდელები და მათი თანაშემწეები, რომლებსაც უშუალოდ პატარებთან უწევთ ურთიერთობა მთელი დღის განმავლობაში და რომლებიც ასე ხელისგულზე ატარებენ ამ პაწიებს.

ხალისიან განწყობას უქმნიან პატარებს და მათ სულს აფაქიზებენ მუსიკის მასწავლებელი **თამარ ურუშაძე** და ცეკვის მასწავლებელი **მარიკა ბიჭიკაშვილი**.

ბაღში ხშირად ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, კარნავალები, ზეიმები, ექსკურსიები ღირსშესანიშნავ ადგილებში. ტარდება ინტელექტუალური შეჯიბრებები. საახალწლოდ ბაღში ჩატარდა კრეატიული ნაძვის ხის მოწყობის შეჯიბრი.




ბაღში ბევრია განსაკუთრებული ნიჭის მქონე აღსაზრდელები. არ შეიძლება არ აღინიშნოს ნორჩი მხატვრის **ანდრია შარკოვის** ნიჭი, რომელსაც გამოფენაც კი მოუწყვეს. პატარა ანდრია ჭრელ და ლამაზ ფერებს შესანიშნავად უხამებს ერთმანეთს.

ბაღში ნორჩი მომღერლებიც ჰყავთ: **ეკატერინე ნიკოლეიშვილი**, **ელენე უჯმაჯურიძე**, **ნიკოლოზ მიქაშავიძე**, **ლიზი დეკანოიძე**, **ნიკოლოზ ქუნთელია**, **მარიამ ჩიკვილაძე**, **თინა მახარაძე**, **ნიკოლოზ სირაძე**, **ანა რუსიძე**, **სალომე შენგელია**, **ნანიკო გოდიბაძე**, **სანდრო ფაცაცია**, **გიორგი სამხარაძე**, **ნიკოლოზ ბაითლიძე**, **ნიკოლოზ არევაძე**, **მარიამ დათუაშვილი**, **ლიზი რამიშვილი**, **კესო ლომიძე** ესენი შესანიშნავად მღერიან.

ნორჩი მოცეკვავეები: **ნიკოლოზ ინაური**, **საბა კახაძე**, **ანანო ღარიბაშვილი**, **ლია შელია**, **ნინო კილასონია**, **აკაკო ძაგანია**, **თეგა ხურციძე** დიდებულად ცეკვავენ. უნდა აღვნიშნოთ პატარა ბალერინა **ქეთევან მოსიაშვილის** ნიჭიერება.

ბაღში ჰყავთ მსახიობური ნიჭით გამორჩეული ცუგრუმელები: **ანა ჩიმჩიური**, **ანასტასია გამგონეიშვილი** და სხვები.

გავიცანით აქტიური ბავშვები, რომლებიც ყველაფერში გამოირჩევიან. ესენია: **დაჩი კაპანაძე**, **საბა ვაშაკიძე**, **დათა ხაჭაპურიძე**, **გიორგი აბესაძე**, **ლუკა გუგუნავა**.

ბაღში სასწავლო პროცესების პარალელურად სპორტული ღონისძიებებიც ხშირად ტარდება. ყოველ შეჯიბრებას დიდი ხალისი და ჟრიამული სდევს თან.

ბაღში მოწესრიგებულია მატერიალურ-ტექნიკური მხარე, კვების პროცესი, ინფრასტრუქტურა.



სამეურნეო ნაწილის კოორდინატორია **ლია მიდელაშვილი**, პატარების ხარისხიან კვებაზე ზრუნავენ მზარეულები **ვიოლა დოჭვირი** და **რუსიკო ბაღაშვილი**. უნდა შევაქოთ ის პერსონალი, რომლებიც თავს არ ზოგავენ საკუთარი საქმის წარმატებით განხორციელებისთვის. ესენია: **ალექსანდრე ქვილითაია**, **მამუკა ბესიაშვილი**, **ნინო ჩოხელი**, **ნონა ბურაშვილი**, **შორენა კაპანაძე**, **მადლენა ჯენდემიანი**.

ეს არის ის ამოუწურავი და მცირედი ინფორმაცია იმ საბავშვო ბაღზე, სადაც ხელისგულზე ხდება სწავლება, გართობა, თამაში და ყველა სიკეთე. აქ სწორედ ხელისგულზე ყალიბდება ქართული სული და საქართველოს მომავალი.

**მარინე მირცხულავა**



# „ლომისი“ გამარჯვებისკენ მიისწრაფვის

## დიდი სიკეთე კერძო სკოლისა



**თბილისში**, გლდანის III მიკრორაიონში მდებარეობს კერძო სკოლა „ლომისი“, რომელიც იპყრობს ყურადღებას თავისი მიღწევებით, შეკრული პედაგოგიური კოლექტივით და ამასთან ერთად მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

სკოლა დაარსდა 1995 წელს, ივლისს „ლომისობის“ დღესასწაულზე და სახელიც ამის მიხედვით დაერქვა.

სკოლის დამფუძნებლები არიან: **თამარ ბარძიმაშვილი**, რომელიც ამ სკოლის დირექტორიცაა და **ნანა არჩვაძე**. სკოლის წინსვლაში აქტიურად მონაწილეობს და უდიდესი წვლილი შეაქვს **მანანა ოკუჯავას**. იგი არის სკოლის ბიზნეს პარტნიორი.

**თამარ ბარძიმაშვილმა** დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, მიიღო ფილოსოფიის კვალიფიკაცია და ჩაირიცხა მიზნობრივ ასპირანტურაში. ასევე დამთავრებული აქვს ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მუშაობდა 174-ე, 181-ე, 175-ე სკოლებში ეთიკა-ფსიქოლოგიის მასწავლებლად. ამასთან ერთად, საქართველოს ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში კითხულობდა ფილოსოფიის საფუძვლებს. 1995 წლიდან სათავეში უდგას სკოლა „ლომისს“. ასე რომ, მის სკოლასთან ერთად მალე 20 წლის იუბილეს აღნიშნავს.

**მანანა არჩვაძე** გახლავთ ამ სკოლის დამფუძნებელი. დედაუნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ისტორიის კათედრაზე. საკანდიდატო მინიმუმი ჩააბარა ისტორიის ინსტიტუტში და კითხულობდა ლექციებს საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიაში თბილისის სოციალურ-ეკონომიურ ინსტიტუტში. შემდეგ მუშაობდა კერძო სკოლა „ნიჭიერთა აკადემიაში“ ისტორიის მასწავლებლად, ხოლო 1995 წლიდან სკოლა „ლომისის“ ხარისხის განვითარების და მართვის მენეჯერია.

**მანანა ოკუჯავა** „ლომისის“ ბიზნეს პარტნიორია. სოხუმის მე-5 საშუალო სკოლისა და სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკის ფაკულტეტდამთავრებულია. საბავშვო მუსიკალური თეატრის დამფუძნებელი. არის ქველმოქმედი და შემოქმედი პედაგოგი.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღირსეულად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას და აქტიურად ემსახურება სკოლაში ჯანსაღი გარემოს და სწავლის პროცესის ხარისხიანად ჩატარების საქმეს.

დღის მეორე ნახევარში სკოლაში ფუნქციონირებს ხელოვნების სკოლა. აქ ასწავლიან მხატვრულ კითხვას, ხალხურ საკრავებზე დაკვრას, ცეკვებს, გიტარაზე დაკვრას და სახვით ხელოვნებას.

სკოლაში დირექტორის რამდენიმე მოადგილეა: ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მენეჯერი გახლავთ **ხათუნა ხუგაშვილი**, ხარისხის განვითარების და მართვის მენეჯერია **ნანა არჩვაძე**, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი **თინათინ ხარებაშვილი**, მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი **ზურაბ ზირაქაშვილი**, შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების მენეჯერი **ანა ჯავახიშვილი**.

ამათთან ერთად შეკრულ პედაგოგიურ გუნდში ირიცხება 38 მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი, რომლებიც ბრწყინვალედ ფლობენ სასწავლო პროგრამებს, უზრუნველყოფენ სკოლის მაღალ აკადემიურ დონეს. სკოლას ყავს მეცნიერებათა დოქტორები: ისტორიის დოქტორი გახლავთ **ნაზიბროლა ანდღულაძე**, ხოლო ფიზიკის დოქტორია **გრიგოლ ჯაფარიძე**, დოქტორანტია ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი **ანა არველაძე**. იგი აქტიურად თანამშრომლობს განათლების სამინისტროს ეროვნულ სასწავლო დეპარტამენტთან.

სკოლაში ჰყავთ აგრეთვე სერთიფიცირებული პედაგოგები ლია მაისურაძე (მათემატიკა), **მარი გოგალაძე** (ქართული), **ანა არველაძე** (ქართული), ***მარიკა აფციაური*** (ინგლისური ენა), **ნანა მჭედლიძე** (რუსული ენა), **ილონა იაკოვლევა** (რუსული), **ნაზიბროლა ანდღულაძე** (ისტორია), **მარინა ქართველიშვილი** (ბიოლოგია). **ნინო თოდუა** და **გურანდა რობაქიძე** დაწყებითი კლასის პედაგოგებია არიან.

სკოლაში დიდი ხანია თავიანთ გამოცდილებას გადასცემენ ახალგაზრდა პედაგოგებს და მოსწავლეებს აწვდიან ხარისხიან ცოდნას **მარი სადრაძე, მარინე ქართველიშვილი, მარინე გოგალაძე, ნინო თოდუა, ნინო კალანდაძე, იზოლდა ჟღენტი, მარი გიგეშაშვილი, ხათუნა ხორგუაშვილი, ნათია ხუსკივაძე, ნინო ამბოკაძე, ლენა არდაზიშვილი, ლიკა წილოსანი, ნაზიბროლა ანდღულაძე, მანანა ამბროლაძე, ირმა მეფარიშვილი** და **დათო კოკაია**.

მინდა აღვნიშნო შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული პედაგოგები. **ლევან ლორია** ასწავლის



ფიზიკა-მათემატიკას, ასევე არის მწერალი, ავტორია რამდენიმე ნაწარმოების. **ანა ჯავახიშვილი** ახალგაზრდა პოეტია, მწერალთა კავშირის წევრი, რომელიც სკოლაში გერმანულ ენას ასწავლის.

სკოლაში ფუნქციონირებს 6 კათედრა. ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას ხელმძღვანელობს – **ნაზიბროლა ანდღულაძე**, ტექნიკურ მეცნიერებათას – **ლეილა ქირთიბაია**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათას – **თეა გვარჯალაძე**, სპორტის და ესთეტიკური აღზრდისას – **მანანა ამბროლაძე**, დაწყებითი კლასებისას – **ნინო კალანდაძე**.



სკოლის ხელმძღვანელობა ატარებს ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებს მასწავლებლებისათვის. ნიუ-იორკიდან ჩამოსული იყო ტრენერ-ინსტრუქტორი **ჰარი მენიონი**, რომელთანაც ნაწილობრივი დაფინანსებით სკოლის ოთხმა პედაგოგმა გაიარა ტრენინგი. მათ მიიღეს ინგლისური ენის სწავლების პროფესიული განვითარების სერთიფიკატი. ესენი გახლავთ: **ნათია ხუსკივაძე**, **თამარ ჩინჩალაძე**, **ნინო ამბოკაძე** და **მარიკა აფციაური**.

საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა არც სკოლის მოსწავლეებისთვის არის უცხო. გაეროს პროექტში „ევროპელი მოქალაქე“ მონაწილეობა მიიღო 9 მოსწავლემ და სასემინარო კურსები გაიარეს კუნძულ მალტაზე. ჯგუფის ხელმძღვანელი იყო **ანა ჯავახიშვილი**. სემინარებში მონაწილე ბავშვები კი არიან: **მარიამ არჩვაძე**, **თემურ მენაბდე**, **ნინო ქურდაძე**, **შოთა ციმაკურიძე**, **არჩილ შველიძე**, **საბა სამხარაძე**, **ლია ჯოლია**, **შალვა შეყილაძე** და **ოთარ საღირაშვილი**.

„ლომისის“ მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაფუძნებულ ოლიმპიადებში.

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიადაში „კინესის“ ოლიმპიადაში, ოლიმპიადა GAU-ში მონაწილეობით თავი გამოიჩინეს: **ლუკა თვალავაძემ**, **გიორგი ჩოხელმა**, **ანა აბრამიძემ**, **მარიამ ლეჟავამ**, **თათია ფიფიამ**, **ლუკა ლოლაძემ**, **დათო ხეჩუაშვილმა**, **გიორგი მენაბდემ**, **ნიკოლოზ აბრამიძემ**, **დემეტრე თაბუკაშვილმა**, **ანა ძაგაშვილმა**, **იპოლიტე კემულარიამ**, **ლუკა ენიშერაშვილმა**, **სპარტაკ გაბუნიამ**, **დავით ზაზაძემ**, **ონისე ოქრუაშვილმა**, **სალომე მეტრეველმა**, **ლერი დოიაშვილმა**, **თორნიკე ჯინჭარაძემ**, **მარი გოგილაურმა**, **ანა კაკაბაძემ**, **ლუკა მდინარაძემ**, **ნიკოლოზ მექვაბიშვილმა**, **ლიზი კეჟერაშვილმა**, **ზაალ ციხელაშვილმა**, **ქეთი მეფარიშვილმა**, **ანი ბენდელიანმა**, **ნატა მენაბდემ**, **ნინო გოგიჩაიშვილმა**, **ნიკა პატარქალიშვილმა**, **ალექსანდრა გოფსანიამ**, **ხატია გოგინაშვილმა**, **ანა კვინიკაძემ**, **ლუკა ბიწაძემ**, **ლუკა ფურელიანმა**, **დაჩი ციხელაშვილმა**, **მერაბ ლომიძემ**, **მარიამ არჩვაძემ**, **რაფაელ სუკჯიანმა**, **ლიზი ბენდელიანმა**, **ანა ძამაშვილმა**, **მარიამ შადურმა**, **ნატა ტაბახმელაშვილმა**, **დავით ძამაშვილმა**, **გვანცა მაისურაძემ**, **ლუკა ვასაძემ** და სხვებმა.

მინდა აღვნიშნო ის მოსწავლეებიც, რომლებმაც სამოქალაქო ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. ექვსმა მათგანმა აიღო სერთიფიკატი, აქედან ორმა – მაღალი ქულებით. საქართველოს ყველაზე მაღალქულიან 36 მოსწავლეთა შორის აღმოჩნდნენ და დაჯილდოვდნენ ბიძინა ივანიშვილის ფულადი საჩუქრებით: **გიორგი ჭაბუკაშვილი** და **შოთა ციმაკურიძე**.

2013 წელს სკოლას ჰყავდა 18 კურსდამთავრებული, რომელთაგან ყველა გახდა სტუდენტი და 13 მათგანი აღმოჩნდა სახელმწიფო გრანტის მფლობელი. ჰყავდათ 2 ვერცხლის მედალოსანი: **გვანცა კაკაბაძე** და **თათია დარსაძე**. წელს კი სკოლის ოქროს მედალოსანი კანდიდატები არიან: **გიორგი ჭაბუკაშვილი** და **სალომე მეტრეველი**.

სკოლაში ჰყავთ ხელოვნების სფეროში წარმატებული მოსწავლეებიც. ანსამბლ „ერისიონის“ მოცეკვავეა **ლერი ხინთიბიძე**, ბულგარეთში მუსიკის ფესტივალზე „გრანარი“ აიღო და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა **თათია ადამია**.

„ლომისი“ შემოდგომისთვის ემზადება გრანდიოზული ღონისძიებისთვის, რომელიც მიეძღვნება სკოლის 20 წლის იუბილეს.

სკოლის ინფრასტრუქტურა ყოველმხრივ მოწესრიგებულია.

მოსწავლეთა მუსიკალურ აღზრდაზე ზრუნავს ქალბატონი – **ირმა მეფარიშვილი**, ჯანმრთელობაზე კი – **ლელა კევლიშვილი**, მოზარდთა ინდივიდუალურ ხასიათს იკვლევს ფსიქოლოგი – **გურანდა რობაქიძე**.

როგორც აქედან ჩანს სკოლა „ლომისი“ არის იმ სკოლათა შორის, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ქებას.

„ლომისი“ დიდ გამარჯვებებს უმიზნებს.

**ნანა ფიფია**



სახალხო განათლება +


# ორიენტაცია – სწავლების მაღალი ხარისხი



**წმიდა ილია მართლის** სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი დაარსდა წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე. კოლეჯის მიზანია სასწავლო პროფესიული პროგრამების განხორციელება მაღალი სტანდარტების შესაბამისად.

კოლეჯის რექტორია პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი ბატონი **ლევან ასათიანი**. იგი ცნობილი მეცნიერია, დაბეჭდილი აქვს ასამდე სამეცნიერო ნაშრომი და გამოკვლევა, მათ შორის 7 მონოგრაფია პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის დარგში.

კოლეჯში სტუდენტთა პროფესიულ აღზრდას ემსახურებიან მაღალპროფესიული პედაგოგები, მათ შორის: ეკონომიკის დოქტორები: **ფ. ბურდული**, **ნ. ბაკურაძე**, **ი. პაპასკუა**, **ი. იშხნელი**, ტექნიკის დოქტორები: **ვ. სესაძე** და **გ. ჭიკაძე**, პედაგოგიკის დოქტორები: **ალ. ლორია**, **ო. ალავიძე**, სამართლის დოქტორი **გ. ალანია**, მედიცინის დოქტორები: **მ. ჩხარტიშვილი** და **ლ. კაკიაშვილი**, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი **რ. ბალანჩივაძე**, ფსიქოლოგიის დოქტორი **ნ. ცერცვაძე**, გამოცდილი და მაღალპროფესიული პედაგოგები: **გ. მეტეხელი**, **მ. გვრიტიშვილი**, **ქ. მარტიაშვილი**, **ი. ფოფხაძე**, **მ. გუნია**, **ს. ტუკვაძე**, **ვ. დანელია**, **თ. ნერგაძე**, **მ. ბეგიაშვილი**, **ნ. ფხიკიძე**, **დ. ქოჩლაძე**, **ი. ზუმბაძე**, **მ. ნემსაძე** და სხვ.

კოლეჯის სასწავლო განყოფილებას ხელმძღვანელობს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჰ. ყარაშვილი**. სასწავლო განყოფილება ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეულია, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას სხვადასხვა სპეციალობით და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

კოლეჯს აქვს კეთილმოწყობილი, თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შესანიშნავი შენობა, კარგად აღჭურვილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ცენტრი – ორი კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი და საჭირო კაბინეტ-ლაბორატორიები, ცენტრალური გათბობა.

კოლეჯი ახორციელებს ექვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. 1. **მცირე ბიზნესის მწარმოებელი**; 2. **ბუღალტერი**; 3. **კრიმინალისტი**; 4. **ოფისის მენეჯერი**; 5. **კომპიუტერული ქსელებისა** და **სისტემების ტექნიკოსი**; 6. **მასაჟისტი**.



კოლეჯში მოქმედებს სტუდენტის ცოდნის შეფასების 100 ქულიანი სისტემა. შეფასებისათვის გამოყენებულია სხვადასხვა კომპონენტები: დასწრება, აქტიურობა, მოსწრება, ტესტი, შუალედური შეფასება, ლაბორატორიული სამუშაო, ინდივიდუალური დავალება, გამოცდა და ა. შ.

კოლეჯში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მაღალ დონეზე განხორციელების საკითხებს.

საწარმოო პრაქტიკის მეშვეობით კოლეჯი ინარჩუნებს კონტაქტებს შრომის ბაზართან და შესაძლებელს ხდის საგანმანათლებლო პროგრამების განახლებას საზოგადოების სწრაფად ცვალებადი მოთხოვნის შესაბამისად.



საწარმოო პრაქტიკა ძალზე მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა დასაქმებისათვის. სტუდენტებს, ნიჭიერების გამოვლენის შემთხვევაში შესაძლებელია ამ საწარმოშივე შესთავაზონ სამუშაო. ასე მოხდა სტუდენტების: **ნ. გოგელიას**, **თ. გოსტამაშვილის**, **ნ. წულეისკირის**, **ვ. ახალაიას**, **მ. კაციას**, **ა. ასათიანის**, **დ. ახალაიას**, **ლ. ბოქოლიშვილის**, **ნ. კაკაშვილის** და სხვათა დასაქმება იმ ორგანიზაციებში, სადაც გადიოდნენ საწარმოო პრაქტიკას.

პრეზენტაციაზე სტუდენტები წარმოადგენენ შესრულებელ დავალებებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელთა განმავლობაში თვითონ, დამოუკიდებლად შეასრულებენ სხვადასხვა პროფესიულ დავალებას.

პროფესიულ სტუდენტს, რომელიც გამოცდაზე უარყოფით შეფასებას მიიღებს შეუძლია გავიდეს განმეორებით გამოცდაზე არანაკლებ 10 დღის ვადაში.

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს გაფორმებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან.

## ევროპული სტანდარტებით

მათ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიებში – კრიმინალისტის სპეციალობის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გასავლელად; ჰიპერმარკეტ „გუდვილის“, შპს „თეთრი ქალაქის“, შპს „მემოს“, შპს „ჯორჯიან ეკოს“ და შპს „უნიკორს“ შორის – მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის სტუდენტთა საწარმოო პარქტიკისათვის; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს ეროვნულ არქივთან – ოფისის მენეჯერის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გასავლელად; კომპიუტერების ქარხანა „ალგორითმთან“ და კომპიუტერულ ცენტრ „სოლოსტუდიო“-სთან – კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის სპეციალობის სტუდენტებისათვის; აკადემიკოს **თემურ მახათაძის** სარეაბილიტაციო ცენტრთან – მასაჟის სპეციალობის სტუდენტებისათვის; აუდიტურ ფირმასთან „ბაკაშვილი და კომპანია“ – ბუღალტრის სპეციალობის სტუდენტებისათვის და სხვ.

კოლეჯის სტუდენტთა დიდი უმრავლესობა არის გამორჩეული ახალგაზრდა, რომლებიც იცავენ კოლეჯის ღირსებას და ამაღლებენ სასწავლებლის ავტორიტეტს. ესენია: **ფაცაცია ქრისტინე**, **ჭილაძე რაჟდენი**, **ჭანიშვილი თეონა**, **ჩიტუაშვილი თათია**, **აროშიძე ქრისტინე**, **გიორგაძე გიორგი**, **ლაბაური ბაქარი**, **ველთაური ეკატერინე**, **ოჩიგავა მარიკა**, **ინაშვილი ნინო**, **ქასაევი თეონა**, **შიხაშვილი ალექსანდრე**, **ახალაია დოდო**, **ჭიშკარიანი ნათია**, **ბოქოლიშვილი ლევანი**, **აჩუაშვილი ხატია**, **კოკაშვილი თამთა**, **სალუქვაძე ნინო**, **თეგაშვილი ანი**, **გელაშვილი სოფიკო**, **ბასილაშვილი მარიამ**, **შერბაევა მარინა**, **მეტრეველი სალომე** და მრავალი სხვა. ყველას ვერ ჩამოვთვლით.

კოლეჯში ხშირად ეწყობა სტუდენტთა და პედაგოგთა შეხვედრები სხვადასხვა საწარმოს გამორჩეულ წარმომადგენლებთან, გამოცდილებისა და საწარმოო უანრ-ჩვევების თემებზე სასაუბროდ. კომპიუტერული ტექნიკის თანამედროვე მიღწევების გასაცნობად. პედაგოგ **ვაჟა დანელიას** ხელმძღვანელობით ტარდება ლიტერატურული საღამოები. სტუდენტები წარმოადგენენ საყვარელი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებით პორტრეტებს. კითხულობენ ლექსებს. რამდენჯერმე მოეწყო სტუდენთა საკუთარი ლექსების კითხვა, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია.



კოლეჯის ადმინისტრაცია, პედაგოგთა კოლექტივი მაღალი შედეგების მიღწევისათვისაა ორიენტირებული.

**რომან მოსეშვილი**

# დამრიგებელი ასეთი უნდა

## გვიყვარდეს მასწავლებელი!



**იოსებ ნონეშვილი** მოგვიწოდებს: „გვიყვარდეს საქართველო მეტად, თავზე მეტად!“ იგივე უნდა ვთქვათ მასწავლებელზე. დედის დღესთან დაკავშირებით მინდა პატივისცემა გამოვხატო პედაგოგის მიმართ. ამ მიზნით თბილისის 36-ე საჯარო სკოლას მივაშურე. დირექტორი **მაია კვინიკაძე** ახალმოსულია და ვიფიქრე, ვერ შემირჩევდა საუკეთესო რესპოდენტს, მაგრამ დაუფიქრებლად დამისახელა რუსული ენისა და სამართალმცოდნეობის მასწავლებელი. იმდენად პოპულარულია **მანანა კიკალეიშვილი**, რომ მას ყველა იცნობს, ყველა პატივას სცემს.

გამახსენდა, ადრე ჩემთანაც ბევრჯერ დაუხასიათებია იგი წინამორბედ დირექტორს – **ქეთევან მელიქიშვილს**, ნოვატორი პედაგოგი და მოწინავე კლასის ხელმძღვანელიაო.

– წელას დამამთავრებელი (XII) კლასის დამრიგებელი ვარ. 26 მოსწავლე მყავს. მეხუთე კლასიდან მოვყვები მათ, – მიყვება ქალბატონი მანანა, – შვილებივით გავზარდე ყველა. რა ძალა ჰქონია შეჩვევას, ისე მიყვარს ისინი, რომ არ ვიცი, როგორ შეველევი.

პუშკინის პედინსტიტუტდამთავრებული **მანანა კიკალეიშვილი** იმდენი წელია მშობლიურ სკოლაში მოღვაწეობს, რამდენი მოსწავლეც დღეს ჰყავს თავის სადამრიგებლოში. მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის მეგობრობა სწორედ იმას ქვია, რაც მათ შორის სუფევს. რუსულის გაკვეთილებზე პოლიტიკა გამორიცხულია. ქართველი და რუსი ხალხების ისტორიულ, კულტურულ ურთიერთობაზე თუა მსჯელობა, ნინო ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის სიყვარულზე, პუშკინზე, ლერმონტოვზე, ესენინისა და ტიციან ტაბიძის მეგობრობაზეა საუბარი, კამათი.

სწავლაში ბევრი წარჩინებული, ანუ „ათოსანი“ მოსწავლე ჰყავს მანანა მასწავლებელს. ბევრი კი კონკურსებში გამარჯვებულია. აი,. თუნდაც საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კონკურსის – „მე ომბუდსმენის“ ლაურეატები: **ლუკა აშხატოევი** და **მარიამ გოგიჩაიშვილი**, რომლებსაც ძვირფასად ღირებული საჩუქრები „ლეპტომები“ სახალხო ომბუდსმენმა **უჩა ნანუაშვილმა** და განათლების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** გადასცეს. სადამრიგებლო კლასში ჰყავს ბრწყინვალე მოცეკვავეები, ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლ „იბერის“ წევრები: **თამარ ნიგვავა** და **სალომე სამუშია**, ძიუდოისტი – **გუგუა ხეთაგური**, სწავლაში წარჩინებულნი: **ელენე ბარჯაძე**, **ირმა ფცქიალაძე**, **ხანა ალოევა**, **მარიამ ივანოვი** და სხვები.

ექსკურსიები? რამდენიც გინდა: მთაწმინდა, ბოდბე, გარეჯი...

ღონისძიებები? ესეც რამდენიც გინდა. აი, თუნდაც ერთ-ერთი აქტუალური: „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, სადაც ბრძოლა გამოეცხადა ალკოჰოლს, თამბაქოს, შიდსს, ნარკომანიას...

დამრიგებელს საქმეს რა გამოულევს.

სინანულით ვიგონებთ წარსულს, როცა მასწავლებელი უფრო ფასობდა – თუდნაც ამაგდარი დირექტორის **კამო სიმონგულოვის** დროს. მაშინ მასწავლებელი უფრო უყვარდათ. დღეს მდგომარეობა თანდათან სწორდება.

სევდიანობა შევატყვე პედაგოგს. გამომიტყდა: სამ-ოთხ თვეში ჩემი დამამთავრებელი გოგო-ბიჭები გამიფრინდებიანო. რას იზამთ? ეს ყველა ნაღდი აღმზრდელის ხვედრია.

დედის დღე და გაზაფხული მოვულოცოთ **მანანა კიკალეიშვილს**, დღეგრძელობა ვუსურვოთ!

**ბორის ხარებავა**

# გამჭვირვალობა

**ვინც** ბევრს ყბედობს გამჭვირვალობაზე, სწორედ ის არის ყველაზე გაუმჭვირვალე. იგი წარამარა გაიძახის: გამჭვირვალობა დემოკრატიის მონაპოვარიაო. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ, მავანო, ისე გიცხონდა ცხვირი, შენ რომ ამას გულწრფელად ამბობდე. ეს დემაგოგიისთვის გჭირდება, თორემ შენ ხომ ის ხელმძღვანელი მუშაკი არა ხარ, რომელიც ყველაფერს უკულმა აკეთებ? ვერ მომატყუებ. მე ოცდამეერთე საუკუნის მოსე მწერალი ვარ. **შენ ვერც მეცხრამეტე საუკუნის მოსე მწერალს მოატყუებ. შენ გაკვეთილებზე პედაგოგის სათვალთვალოდ საკლასო ოთახის კარებში მინები რომ ჩასვი, ამას გამჭვირვალობას ეძახი?**

მივმართოთ ფაქტებს: „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს განათლების მინისტრად (სხვა სფეროებს არ ვეხებით) ცეკას მდივანი **გურამ ენუქიძე** გადმოიყვანეს. თათბირზე ჟურნალისტები დაგვიბარა. შუა საუბარში რომ ვიყავით, თანაშემწე შემოვიდა: სვანეთიდან პედაგოგები არიან ჩამოსულიო.

ბატონმა გურამმა ბოდიში მოგვიხადა: პედაგოგების მიღება ხუთი საათიდან გვაქვს. იმ სიშორიდან, იქნებ რამე საჩქარო საქმეზე არიან ჩამოსული, ან დღესვე აპირებენ დაბრუნებას. ველარ ვალოდინებო.

მინისტრის კაბინეტი დავტოვეთ.

დღეს? დღეს სკოლის დირექტორს, თუ მისი მობილურის ნომერი არ იცი, სასაუბროდ ვერ მოიხელთებ. შეხვედრასა და მიღებას ვინ ჩივის?

აი, შაშკინის მიერ დამკვიდრებული მეთოდიკა: დარეკავ სკოლაში, მოხვდები კანცელარიაში. თითქმის არ არსებობს შანსი, პირდაპირ დირექტორთან გახვიდე. კანცელარიის მოხელე ე. ი. საქმეთამმართველი გამომძიებელივით დაადგენს შენს ვინაობას. დირექტორს, თუნდაც იქვე იჯდეს, გუნებაში თუ არ მოუხვედი, თანაშემწეს ათქმევინებს: წასულია სამინისტროში, რესურსცენტრში, ან სადმე შეხვედრაზეა. მობილურის ნომერს თხოვ? ვინ მოგცემს: აკრძალული გვაქვსო. **ვინ აკრძალა? იმ ხელმძღვანელმა პირმა, რომელიც ყველაზე ბევრს ლაყბობს გამჭვირვალობაზე.**

დირექტორის გაუფრთხილებლად მიხვედი სკოლაში? იგივე პროცედურები უნდა გაიარო, ორი ბარიერის დამატებით: პირველი გამომძიებელი შესასვლელის დარაჯია, მეორე – მანდატური. დავუშვათ, ვერცერთმა შეგამჩნია, ისე გაძვერი კანცელარიაში, იქაც გეტყვიან, დირექტორი არ არისო. კიდევ დავუშვათ და... დირექტორი „გამოიჭირე“. თვალში თუ არ მოუხვედი, დიდ ღონისძიებაზე გავრბივარო., – გეტყვის და უყარე კაკალი. **ასეთ მოჯადოებულ წრეში ტრიალებს ჩვენი „გამჭვირვალობა“.**

ბოლოს და ბოლოს, სკოლის დირექტორი რა იმხელა უშველებელ-უზარმაზარი პიროვნებაა, რომ მასთან დაკავშირება არ შეიძლებოდეს?

**მოსე მწერალი**

გაზეთ „სახალხო განათლება +“-ის რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს **მარინე ტომარაძეს** შვილის, **ლალა ბეგლარაშვილის** ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

## გულთბილი სიტყვა კოლეგას



**მეორე** არ გვეგულება ჟურნალისტი, რომელსაც ნახევარი საუკუნე ფეხმოუცვლელად ერთ გაზეთში ემოღვაწოს. იგი გახლავთ დაუბერებელი ფოტორეპორტიორი **გენადი სილიბისტროს ძე სანაია**. მისგან განაწყენებულ კაცს ვერ მოძებნით.

დღეს, ნამუსიან სიტყვას ფასი აქვს დაკარგული, ხოლო ტყუილის თქმა ბევრს ჩირადაც არ ულირს. გენადისთანა სიტყვასაქმიანი და საქმესიტყვიანი კაცი კი სანთლით საძებარია.

პასუხისმგებლობას არ იკითხავთ?

# ჩვენი გენადი სანაია

თავს მოიკლავს, დავალება ან მიცემული პირობა რომ არ შეასრულოს.

ზოგი უვიცი ხელმძღვანელი ზოგჯერ უმიზეზოდ გაუწყრებოდა ხოლმე. იგი იობივით ითმენდა, არასდროს ენა არ შეუბრუნებია არავისთვის. არასდროს ავიწყდებოდა და არც ახლა ავიწყდება თავისი მოვალეობა.

ახლა, როცა ყველა თავის უფლებებზე გაყვირის, გენადის ცხოვრების წესი მუდამ დიდი პასუხისმგებლობა იყო და არის.

თავმდაბალი, ღიმილიანი, გულკეთილი, ულალატო, საქმის კაცი – აი, ჩვენი გენადი. არა მარტო გაზეთ „სახალხო განათლებაში“, არამედ ყველა გამოცემაში პოპულარულია იგი. ყველგან იცნობენ. ბევრი გაზეთი ეპატიჟებოდა, მაგრამ ჩვენს გაზეთს არ ულალატა. გენადი ბევრი ფოტოგამოფენა-კონკურსის გამარჯვებულია.

ერთი ეპიზოდი ანეკდოტივით გვახსოვს, რომელიც მეგობრებმა სიყვარულით შეუთხზეს. პოეზიის დღისთვის რედაქტორმა **ნიკო შველიძემ** დაავალა, რუსთაველის ძეგლს ფოტო გადაუღეო. გენადიმ გადასაღებად ოპტიმალურ კუთხეს მიაგნო. ობიექტივი სასურველ კადრზე მომართა და რუსთაველს აფრთხილებს: „ყურადღებით იყავი! არ გაინძრე! ვიღებ!“

უმაღლესი პროფესიონალიზმია მისი ცხოვრების წესი.

**გენადი სანაია** 1930 წლის 19 მარტს არის დაბადებული. ჩვენ, მისი მეგობრები, ვულოცავთ მას დაბადების დღეს და დღეგრძელობას ვუსურვებთ.

**სახალხოელები**

## პედაგოგის პოეტური პალიტრა

**ღვაწლმოსილი** მასწავლებელი **ლამარა ზაქაიძე** პოეზიის ტრფიალია, არა მარტო ტრფიალი, თავად არის გემოვნებიანი პოეტი. მისი ხუთი ლექსი ჩვენი გაზეთიდან ახლახან „დააჭაშნიკა“ მკითხველმა. გაზაფხულის ძლევამოსილად შემობრძანებას ახალი ლექსით გვილოცავს ქალბატონი ლამარა.

### მობრძანდება

### გაზაფხული

თოვლი დადნა და სველ მიწას
ნისლად გადაეფარა,
ბუჩქის ფესვებს ეხუტება
აბუზული ბეღურა.
მარტის სიო ეფერება
ველებს ენძელ-იანებს,
მწვანე სამოსს დაულაგებს,
განა დაუზიანებს.
მობრძანდება გაზაფხული
ჩოჩქოლით და ხალისით,
მარტიდან რომ თმას გაიშლის,
გვირგვინს იდგამს მაისში.
რის ოლიმპო, აგერ ჩვენს მთებს
საზბრძანებლოდ აირჩევს,
მერე სხივებს დააშუქებს
კავკასიის კარიბჭეს.
გალაღდება, დედამიწას
გადაუხსნის საკინძეს,
ცაში მერცხლის ნაკვალევზე
ცისარტყელას დაკიდებს.
მაშ, მობრძანდი, გაზაფხულო,
ია-ვარდის კონებით!
მოთმინებით გელოდები
ზამთრით შენაღონები.

# ვანო კალაძის გახსენება



**მეხის** გავარდნას გავდა 2 მარტის დილა, როდესაც უცაბედად ვანო კალაძის სულმა მარადიულ ცხოვრებაში გადაინაცვლა.

ამბობენ ღმერთსაც კარგი უნდაო. ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილს, ჯერ კიდევ ახალგაზრდას, უშრეტი ენერგიის მქონეს კიდევ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო.

**ივანე (ვანო) კალაძე** ცნობილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი-ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო, რომელმაც

თავისი შეგნებული ცხოვრება, ნიჭი, ცოდნა და მდიდარი გამოცდილება უშურველად მოახმარა ქვეყნის სახალხო განათლების აღმავლობას. პედაგოგების ოჯახში გაზრდილმა, თვითონაც პედაგოგობა აირჩია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მსხალდიდის, ციხისძირის რვაწლიან სკოლებში მათემატიკის მასწავლებლად, შემდეგ თბილისის მე-15-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლად, ამავე სკოლის დირექტორის მოადგილეც იყო სასწავლო-სააღმზრდელო დარგში, თბილისის ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.

ძალიან მძიმე დროს მოუწია ვანოს ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ მუშაობამ. მან ბევრი გააკეთა საიმისოდ, რომ ცნობილი კატაკლიზმებისა და ქარტეხილების პირობებში გადარჩენილიყო და სამშვიდობოს გამოეღწია ინსტიტუტის ჭეშმარიტ მეცნიერულ პოტენციალს.

იგი სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც, მათ შორის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში სამეცნიერო საბჭოს. ამავე დროს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრადაც აირჩიეს და ხელმძღვანელობდა პროგრამას: საბაზო და საშუალო სკოლის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“.

მას თანამშრომლები ჩვენი ინსტიტუტის ლეგენდარული დირექტორების, მათ შორის **შალვა ამონაშვილისა** და **ლევან ჩიქვანაიას** შემცვლელად მოვიაზრებდით. ვაგლახ, რომ ადრე მიგვატოვა!

**თამარ გოგოლაშვილი,**
*პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი*

# ხალისი და სიყვარული შემოჰქონდა

## ჯუმბერ ჩიქოვანი – 95

**დიდი** სამამულო ომის ოთხი მონაწილე გვყავდა „სახალხო განათლებაში“: **ნიკო შველიძე**, **ვასო ბაიაძე**, **ბეგლარ (ბეგო) მუჯირიშვილი** და **ჯუმბერ ჩიქოვანი**. ჯუმბერი ხშირად სიამაყით ახსენებდა იმ უდიდებულეს წუთებს, როცა დიადი გამარჯვების პარადზე მარშით გაიარა კრემლის მოედანზე, სტალინი, ჟუკოვი, ბერია და სხვები ხელის ქნევით მესალმებოდნენო.

ჩიქოვანები წარმოშობით სვანები ვართო, დადიანის მოურავი ჩიქოვანი იყო, ჩიქვანი და ჩიქვანაიაც ჩიქოვანის ფუძიდან მოდისო, პოეტი ნაესაკოვოდან **სიმონ ჩიქოვანიც** სვანი იყოო.

ომიდან დაბრუნებულმა დედაუნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. ერთხანს ცაგერის რაიონის გვესოს მშობლიურ სკოლაში ისტორიას ასწავლიდა. თბილისში რომ გადმოვიდა, დიდხანს მუშაობდა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, გამომცემლობა „განათლებაში“. პირადად შეხვედრია ბერიას, ჩარკვიანს, მგელაძეს. 30 წელი გაზეთ „სახალხო განათლებაში“ იღვაწა.

იყო გულკეთილი, ალალმართალი, ხალისიანი და ხუმარა. მუდამ მხიარული განწყობილება შემოქონდა რედაქციაში. მატყუარებს ვერ იტანდა. თუ გაბრაზდებოდა, მტრისას! ძალიან იყო შეხუმრებული **კაკო ჯიქიასთან**. კაკოს წესად ჰქონდა: თუ ვინმეს ურეკავდა, უთუოდ ასე იწყებდა: „აი, ახლა გელაპარაკებითო“.

ოთახში ყველას გვედგა შიდა ტელეფონები. ჯუმბერი გაზეთს მოაფარებდა თავის აპარატს, თითქოს ვიღაც შორიდან ურეკავს კაკოს: „ალო, აი ახლა გელაპარაკებით“. უმალვე ხვდებოდა ოინს ადრესატი, აბუზღუნდებოდა. „როგორ?! – მოეფერებოდა ჯუმბერი, – ნუ ბრაზობ, შენი სიძე ვარო (ჯუმბერის მეუღლე ჯიქია გახლდათ).

ტკბილმოუბარი იყო ჯუმბერი. სულ უბრალო, წვრილმან ამბავს ისე ემოციურად, პომპეზურად, მიმზიდველად ყვებოდა, მოჯადოებულივით უნდა გესმინა.

სკოლაში ზედმეტად ცელქი ყოფილა. ერთხელ პედაგოგი გაუბრაზებია და გაკვეთილიდან გამოუგდიათ. რა ქნას უსაქმურად დარჩენილმა? ეზოში წიწილების მჭამელი კატა დაინახა. ჯიბეში პატრუქმიერთებული ასაფეთქებელი ჰქონია. კატას კუდზე მიაბა და ასანთს გაკრა. კატა შიშინით და ნაპერწკლების ყრით შორს მდგარი სკოლის ფარდულისკენ გაიქცა. „ცეცხლიანი კატა!“ – ყვირის ჯუმბერი. საბედნიეროდ, კატა გზაში აფეთქდა და ფარდული ხანძარს გადაურჩა. ონავარი მოსწავლე კი ამის გამო სკოლიდან გარიცხეს.

ძალიან მოვიწყინეთ მისი გარდაცვალების შემდეგ. რაღაც სიცარიელე გაჩნდა. უცნაურია კაცის ბედისწერა. სიმბოლურია, რომ **ჯუმბერ ჩიქოვანი** ომში გამარჯვების ზეიმის დღეს 1997 წლის 9 მაისს გარდაიცვალა.

ჩვენი, ე. ი. მისი კოლეგებისა და მეგობრების ვალია, არ დავივიწყოთ კეთილი **ჯუმბერ ჩიქოვანი**!

**ბორის მიშველაძე**

ნომრის რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+
№4 (4508)
11 მარტი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113